

საყრდნისი-ყაჩაღობანი

კურთხეული დედაკვირელებანი
ტყრუს თანავერელები მთვრეებავე



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2014 წელი

კვლევა განხორციელებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - “ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში” - ფარგლებში, “ღია საზოგადოების ფონდების” (OSF) - ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.



ავტორი: სულხან სალაქი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: კახა კოჭორიძე
სულხან სალაქი**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	5
1.1. მიზნები და მიზეზები	5
1.2. მეთოდოლოგია	5
1.3. ძირითადი მიგნებები	5
2. საყდრისი-ყაჩაღიანი – საკითხის კულტურულ-მემკვიდრეობრივი მხარე	7
2.1. დასაწყისი	7
2.2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული საეჭვო გადაწყვეტილება	7
2.3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა	8
2.4. საყდრისი-ყაჩაღიანისთვის მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობა	9
2.5. საყდრისი-ყაჩაღიანი, როგორც არქეოლოგიური ობიექტი	11
2.6. შპს „არქეოლოგიური გაერთიანების“ დაწესებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში და “RMG Gold”-ის მიერ გასაჩივრებული უარი	11
2.7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შპს “RMG Gold”-ზე გაცემული დადებითი დასკვნა	12
3. საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებული პარალელური პროცესები	15
3.1. 2014 წლის 8 იანვრის განცხადება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტისთვის ძეგლის სტატუსი მინიჭების შესახებ	15
3.2. სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით	15
3.3. საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულის წერილი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პასუხი	16
3.4. დასკვნის მაგიერ	17
4. საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებული კომპანიები და ლიცენზიები	17
4.1. სანამ ლიცენზია გაგრძელდებოდა	17
4.2. საყდრისი-ყაჩაღიანი - “RMG Gold”-ზე ლიცენზიის გაგრძელების წინაპირობა?	19
4.3. გარემოებები, რომელთა საფუძველზეც “RMG Gold”-ს ლიცენზია გაუგრძელდა	19
4.4. როგორ იყიდა 2012 წელს ლიცენზია “Mining Investments”-მა	22
4.5. ცოტა რამ „მთავარი მოქმედი პირების“ შესახებ	26
4.6. დასკვნა	32
5. რეკომენდაციები	33

1. შესავალი

1.1. მიზნები და მიზნები

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საზოგადოებაში მუდმივად მიმდინარეობს დისკუსია ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საყდრისი-ყაჩალიანის ბორცვზე გერმანელი და ქართველი მეცნიერების მიერ გამოვლენილი და შესწავლილი პრეისტორიული ხანის მალაროს შესახებ. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, მალარო უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ის დღემდე გამოვლენილ პრეისტორიულ ოქროს მალაროთაგან უძველესია მსოფლიოში და ძვ.წ.აღ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება.

ბუნებრივია, საია ვერ შევა დისკუსიის იმ ნაწილში, რომელიც სცილდება საკითხის სამართლებრივ მხარეს და შესაბამისი დარგის სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს. თუმცა, მაშინ როცა არქეოლოგები და გეოლოგები საყდრისი-ყაჩალიანის რეალურ ღირებულებაზე დავობენ, ხოლო საკითხი დიდი ხანია გასცდა მხოლოდ მეცნიერულ დავას, უაღრესად მნიშვნელოვანია საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებული სამართლებრივი მხარის ანალიზი.

წარმოდგენილ კვლევაში საია ორ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. პირველი მათგანი საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება, ხოლო მეორე – საზოგადოებისთვის ამ დრომდე ნაკლებად ცნობილ, სახელმწიფოს მიერ გაცემულ (გაგრძელებულ) ლიცენზიას, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია საყდრისი-ყაჩალიანზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად. კვლევაში წარმოდგენილია ასევე ინფორმაცია იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც ბოლო წლებში აქტიურად არიან ჩართულნი ძვირფასი ლითონების მოპოვების პროცესში.

ამდენად, საიას მიერ წარმოდგენილი კვლევის მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, ერთი მხრივ, ბოლო პერიოდში მუდმივი განხილვის საგნად ქცეული საყდრისი-ყაჩალიანის ირგვლივ განვითარებული მოვლენების კანონთან შესაბამისობის თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ – წიაღისეულით სარგებლობის მიზნით გაცემული და გაგრძელებული ლიცენზიის თანმდევ მოვლენებზე.

საგულისხმოა ისიც, რომ წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულნი არიან საყდრისი-ყაჩალიანის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან, საინტერესო კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ გარემოზე ზემოქმედების, ეკოლოგიური ვალდებულებების შესრულების და ამ კომპანიებში დასაქმებული ადამიანების შრომითი უფლებების დაცვის კუთხითაც. აღნიშნული საკითხები თავისუფლად შეიძლება გახდეს ცალკე კვლევის საგანი.

1.2. მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კვლევა რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, კერძოდ: საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ოფიციალური დოკუმენტების ანალიზს, სამენარმო რეესტრში დაცული მონაცემების დამუშავებას და კვლევის მიზნებისთვის გამოყენებას, ასევე, მედია საშუალებებისა და საკითხით დაინტერესებული პარტნიორი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს მომზადებული სიუჟეტებისა თუ ანგარიშების შესწავლას.

ყველა ის საკითხი, რომლის შესახებაც კვლევაში არის საუბარი და რის საფუძველზეც წარმოდგენილი კვლევა მომზადდა, საიას ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტებით არის გამყარებული.

1.3. ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი და საგულისხმო საკითხები, კვლევის სტრუქტურულიდან გამომდინარე, ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი ნაწილი საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე ნაწილს საყდრისი-ყაჩალიანის კონტექსტში სახელმწიფოს მიერ გაცემულ და გაგრძელებულ ლიცენზიებთან მიეყვარება. აღნიშნული ნაწილი მოიცავს ასევე ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად არიან დაკავშირებულნი ძვირფასი ლითონების მოპოვებასთან.

- საიას ხელთ არსებული დოკუმენტების თანახმად, სწორედ საყდრისი-ყაჩალიანის ირგვლივ განვითარებული მოვლენები გახდა ხელისუფლების მიერ იმ გადანყვეტილების მიღების საფუძველი, რომლის მიხედვითაც, „RMG Gold“-ს ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 1 იანვრამდე უფასოდ გაუგრძელდა. ამ პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედება აჩენს ეჭვებს, რომ შესაძლოა ლიცენზიის გაგრძელების დროს კონკრეტული პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა კორუფციულ ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას;
- ამასთან, წიაღის მოპოვების მიზნით, „RMG Gold“-ს არ უნდა ჰქონდა განსაკუთრებული ეკონომიკური გათვლა საყდრისი-ყაჩალიანის უბანზე, რადგანაც 2009 წელს, როცა ლიცენზია კომპანიის ხელში გადავიდა, საყდრისი-ყაჩალიანი უკვე წარმოდგენდა ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ეს გარემოება კი, ობიექტზე მსხვლმამტაბინია სამუშაოების წარმოების შესაძლებლობას გამორიცხავდა.

- ყველა ის კომპანია, რომელიც საიას მიერ კვლევის დროს იქნა შესწავლილი, საბოლოოდ ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ყველა მათგანის უკან კვიპროსში რეგისტრირებული „PAMTILON HOLDINGS LIMITED“ დგას. თუმცა, ვინ დგას თავად ამ კომპანიის უკან, უცნობია;
- საიას მიერ შესწავლილ ყველა კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭო ერთი და იგივე შემადგენლობით არის წარმოდგენილი, ხოლო დირექტორის ფუნქციები ორ ადამიანზე ნაწილდება;
- „PAMTILON HOLDINGS LIMITED“-ის მიერ დაფუძნებული კომპანიების და ამ კომპანიების შვილობილ კომპანიებში (როგორც მმართველობით ორგანოებში, ასევე სამეთვალყურეო საბჭოებში), დღევანდელი მდგომარეობით, წარმოდგენილი არიან ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში იმ სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდნენ, რომელთა უშუალო მონაწილეობითაც ხდებოდა წიაღით სარგებლობის მიზნით ლიცენზიების გაცემა.
- საყდრისი-ყაჩაღიანთან, როგორც ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით, 2013 წლის 28 მაისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ თერთმეტკაციანი კომისიის შექმნა წინააღმდეგობაში მოდის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონთან. აღნიშნული კანონის თანახმად, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის გადატანა დაუშვებელია. კომისიის შექმნის დროს კი, ძეგლს სწორედ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის სტატუსი ჰქონდა. ამასთან, საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის გადატანაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი ძეგლს კატეგორია შეეცვლება და აღნიშნულ საკითხზე სამინისტროში არსებული მინისტრის სათათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო იმსჯელებდა;
- თერთმეტკაციანი კომისია გასცდა მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და იმსჯელა ისეთ თემებზე, როგორცაა: სამთო დამუშავების და ტექნოლოგიური საკითხები; ძეგლის არსებულ სტატუსთან შეუსაბამობა გეოლოგიური თვალსაზრისით; ძეგლის, როგორც ტურისტული ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა – საინჟინრო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური თვალსაზრისით და, ასევე, საკითხის ეკოლოგიური და ეკონომიკური მხარეების შესწავლა. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა კომისიისთვის არავის დაუვალებია;
- თერთმეტკაციანი კომისიის დასკვნა, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობის საფუძველი გახდა, სულაც არ წარმოადგენდა სავალდებულოდ გასათვალისწინებელი ხასიათის დოკუმენტს. შესაბამისად, სამინისტროს თავისუფლად შეეძლო, კომისიის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ასახული მტკიცებულებების მართებულობა, კომპეტენციის ფარგლებში, გადაემოწმებინა როგორც სამინისტროში არსებული მინისტრის სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს – საშუალებით, ასევე, უშუალოდ ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებთან;
- საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების მიზნით, სამინისტროს მიერ შპს „RMG Gold“-ზე გაცემული დადებითი დასკვნის მომზადების დროს არსებითად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესები;
- სამინისტრომ ისე მისცა „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება, რომ მხედველობაში არ მიიღო და არ შეაფასა სამინისტროს სისტემაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, თავის დროზე, უარყოფითად შეფასდა შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში;
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულისთვის სამინისტროს მიერ მიცემული დაპირების მიუხედავად, რომ სამინისტრო იზიარებდა გერმანული მხარის პოზიციას, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით, დამოუკიდებელ ექსპერტთა საერთაშორისო კომისიის შექმნის თაობაზე, რეალურად, სამინისტროს მხრიდან სათანადო ნაბიჯები არ გადადგმულა;
- სამართალდამცავ ორგანოებს არ გაუტარებიათ ქმედითი და ეფექტური ღონისძიებები საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტზე გამოძიების დაწყების და კონკრეტული პირების პასუხისგებაში მიცემის მიზნით;
- მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის 27 იანვარს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული და მეთოდოლოგიური სექციის სხდომაზე, საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, საბჭომ დადებითი რეკომენდაცია გასცა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა არ გაიზიარა საბჭოს გადაწყვეტილება და საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტის არ მიანიჭა ძეგლის სტატუსი.

წარმოდგენილ კვლევაში ზემოთ აღნიშნული ყველა საკითხი ვრცლად არის განხილული და გამყარებულია შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტებით.

2. საყდრისი-ყაჩაღიანი – საკითხის კულტურულ-მემკვიდრეობრივი მხარე

2.1. დასაწყისი

2004 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე გერმანელი და ქართველი მეცნიერების მიერ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა გაკეთდა. მოგვიანებით, აღმოჩენასთან დაკავშირებით, ქართულმა და უცხოურმა მედია საშუალებებმა პრეისტორიული მალაროს მსოფლიო მასშტაბსა და უნიკალურობაზე დაიწყეს საუბარი.¹ საყდრისი-ყაჩაღიანი მსოფლიოში ოქროს უძველესი პრეისტორიული ხანის მალაროდ იქნა მიჩნეული. 2006 წელს ობიექტს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც მსოფლიოში უძველესი ოქროს მალაროს კულტურული ღირებულება 2012 წლის ბოლომდე არ დამდგარა ეჭვის ქვეშ. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მალაროს უნიკალურობაზე თავად ის კომპანიაც საუბრობდა, რომელიც, მოგვიანებით, საყდრისი-ყაჩაღიანისთვის მინიჭებული სტატუსის წინააღმდეგ გამოვიდა.

2013 წლის 26 აპრილს შპს „RMG Gold“-მა წერილობით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და აცნობა, რომ კომპანიის ლიცენზირებულ ტერიტორიაზე 2004 წელს საბადოს კონტურის ფარგლებში გეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარებისას, ნაპოვნი იყო ძველი სამთო გამონამუშევრები (გვირაბები), რომელთაც 2006 წელს ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. თუმცა, „RMG Gold“-ის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ აღმოჩენილი ობიექტი უკვე ლიცენზირებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა, იგნორირებულ იქნა.²

ამავე წერილში კომპანია აღნიშნავდა, რომ ძეგლის სტატუსი შეუძლებელს ხდიდა საყდრისის საბადოს უდიდესი ნაწილის დამუშავებას, რაც მინიმუმამდე ამცირებდა საბადოს ეკონომიკურ მნიშვნელობას და სერიოზულ ზიანს აყენებდა როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორის ინტერესებს.³ თუმცა, **პრემიერ-მინისტრის სახელზე წარდგენილ განცხადებაში არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რეალურად რა მოცულობის ეკონომიკურ ზიანზე იყო საუბარი.** მიუხედავად ამისა, წერილში აღინიშნა, რომ სამთამადნო საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი მხოლოდ პირველი 7-8 წლის განმავლობაში 160 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბებდა, დასაქმდებოდა 700-მდე ადამიანი და საშუალო ხელფასი 1000 ლარს გაუტოლდებოდა.⁴ მიუხედავად შთამბეჭდავი ციფრებისა, არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასახულა წერილში ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით კეთდებოდა აქცენტი მსგავს მონაცემებზე.

სამაგიეროდ, კომპანიამ მზადყოფნა გამოთქვა, საკუთარი სახსრებით განეხორციელებინა ძეგლის გადატანა იმგვარად, რომ არ დაკნინებულიყო მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულება. კომპანია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შესაძლებელი იყო უძრავი ძეგლის გადაადგილება და ძეგლის სტატუსის შენარჩუნება.⁵

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის გადატანის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და, შესაბამისად, „RMG Gold“-ის შეთავაზება ძეგლის გადატანის შესახებ კანონისმიერ საფუძველს მოკლებული იყო.⁶

კომპანიის 2013 წლის 26 აპრილის წერილი, ქვემდებარეობის წესით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გადაიგზავნა. ამდენად, შპს „RMG Gold“-ის წერილში აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება სამინისტროს დაევალა.

2.2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიღებული საეჭვო გადაწყვეტილება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2013 წლის 28 მაისს ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია შეიქმნა, რომელსაც ორ მნიშვნელოვან საკითხზე უნდა ემსჯელა. კერძოდ:

- შეესწავლა საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაცია;
- შეემუშავებინა ძეგლის გადატანისთვის საჭირო რეკომენდაციები.⁷

¹ http://www.youtube.com/watch?v=iNOvkWtV_bo; <http://www.youtube.com/watch?v=IfEN3YOhxMI>;

² შპს „RMG Gold“-ის 2013 წლის 26 აპრილის #034/13 განცხადება;

³ შპს „RMG Gold“-ის 2013 წლის 26 აპრილის #034/13 განცხადება;

⁴ შპს „RMG Gold“-ის 2013 წლის 26 აპრილის #034/13 განცხადება;

⁵ შპს „RMG Gold“-ის 2013 წლის 26 აპრილის #034/13 განცხადება;

⁶ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 26, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ“;

⁷ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის #03/82 ბრძანება;

კომისიას დაევალა, რომ მის წინაშე დასმულ საკითხებზე დასკვნა 2013 წლის 30 ივნისამდე მოემზადებინა.⁸

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს ამგვარი გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონთან და, სამწუხაროდ, დღემდე ტოვებს კითხვას, თუ რატომ მიიღო სამინისტრომ ამგვარი გადაწყვეტილება და რატომ არ იმოქმედა კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, საქართველოს კანონმდებლობა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის გადატანის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.⁹ კომისიის შექმნის დროს კი, ძეგლს სწორედ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის სტატუსი ჰქონდა. ამასთან, კანონის თანახმად, საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის, გადატანაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუკი ძეგლს კატეგორია შეეცვლებოდა და აღნიშნულ საკითხზე სამინისტროში არსებული მინისტრის სათათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ის საბჭო იმსჯელებდა, რომელიც დარგის ექსპერტებით და საზოგადო მოღვაწეებით არის დაკომპლექტებული.¹⁰

რაც შეეხება ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლას, აღნიშნული საკითხი საერთოდ არ საჭიროებდა რაიმე სახის კომისიის შექმნას. უფრო მეტიც, **იურიდიული თვალსაზრისით, დოკუმენტაციის გამართულობასთან კანონთან შესაბამისობაში მოყვანაზე, საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროს იურიდიული სამსახურსაც შეეძლო ემსჯელა.** საგულისხმოა ისიც, რომ შპს „RMG Gold“-ის 2013 წლის წერილში არაფერი იყო ნათქვამი საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის შესწავლის საჭიროების შესახებ. შესაბამისად, სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დღემდე პასუხგაუცემელს ტოვებს კითხვას, თუ რატომ დაევალა კომისიას ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა და საყდრისი-ყაჩაღიანთან მიმართებით წინასწარ დაგეგმილ პროცესთან ხომ არ გვექნა საქმე? შემდგომში განვითარებული მოვლენები ამ ეჭვებს კიდევ უფრო ამძაფრებს.

2.3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, კომისიამ, რომელსაც საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაცია უნდა შეესწავლა და ძეგლის გადატანისთვის საჭირო რეკომენდაციები შეემუშავებინა, სულ ორი სხდომა გამართა. პირველი სხდომა კომისიის შექმნის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ორ დღეში შედგა და კომისიამ დაადგინა, რომ 2006 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მალაროს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის¹¹ დარღვევით ჰქონდა მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. შესაბამისად, საკითხზე რეაგირების მიზნით, მიღებულ იქნა სხდომის ოქმის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის წარდგენის გადაწყვეტილება.¹²

კომისიამ მეორე სხდომა 2013 წლის 18 ივნისს გამართა და დაასკვნა, რომ:

- ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის ტერიტორიაზე, ყაჩაღიანის უბანზე, უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ, უძველესი ოქროს მალაროს არსებობა, გეოლოგიური თვალსაზრისით, არ არის დასაბუთებული. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა არქეოლოგიური კვლევების ანგარიშებისა და სხვა მასალების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი (შესაბამისად, უნიკალური) მალაროს არსებობას. სარწმუნოა, რომ საქმე ეხება სპილენძის, ისიც მცირე მასშტაბით, მოპოვებას;
- შესაბამისად, „საყდრისის უძველესი ოქროს მალარო“ სინამდვილეში ჩვეულებრივი სპილენძის ძველი მალაროა, რომლის მსგავსიც, როგორც ბრინჯაოს ხანაში, ასევე მომდევნო პერიოდში, მრავლად არის დაფიქსირებული საქართველოს ტერიტორიაზე და არქეოლოგიური თვალსაზრისით უნიკალური მოვლენას წამდვილად არ წარმოადგენს;
- სამთო გამონამუშევრების დღევანდელი მდგომარეობა სახიფათოა არა მხოლოდ შესაძლო ვიზიტორებისთვის, არამედ მკვლევარებისა და იქ მომუშავე დამხმარე პერსონალის ჯანმრთელობისა დასიცოცხლისთვისაც. ამდენად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უსაფრთხოების მოთხოვნებიდან და საინჟინრო-გეოლოგიური ნორმებიდან გამომდინარე, აუცილებელია სასწრაფო და გადაუდებელი ზომების მიღება.¹³

⁸ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის #03/82 ბრძანება;

⁹ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 26, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ“;

¹⁰ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 5, პუნქტი 4, 5 და მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

¹¹ აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2007 წლის 8 მაისს მიღებული „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 60);

¹² ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომის ოქმი #1, 2013 წლის 30 მაისი;

¹³ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომის ოქმი #2, 2013 წლის 18 ივნისი;

საბოლოოდ, კომისიის სახელით მომზადებულ დაუთარილებელ დასკვნაში კომისიამ ცხრა კომპონენტი გამოყო. კერძოდ:

- სამთამადნო მრეწველობის ძეგლის მდგომარეობა და მისი აღმოჩენის გარემოებანი;
- ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების წინა პერიოდი;
- ობიექტისთვის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი ასპექტები;
- არქეოლოგიური ასპექტები;
- სამთო დამუშავებისა და ტექნოლოგიური საკითხები;
- ძეგლის არსებულ სტატუსთან შეუსაბამობა გეოლოგიური თვალსაზრისით;
- ძეგლის, როგორც ტურისტული ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა, საინჟინრო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური თვალსაზრისით;
- ეკოლოგიური საკითხები;
- ეკონომიკური ასპექტები.

კომისიის დასკვნით, დოკუმენტში აღნიშნული ცხრა კომპონენტიდან, რეალურად, კომისიისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას მეტ-ნაკლებად მხოლოდ პირველი ოთხი საკითხი განეკუთვნებოდა, ვინაიდან კომისიისთვის არავის დაუვალეობა მსჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: სამთო დამუშავებისა და ტექნოლოგიური საკითხები; ძეგლის არსებულ სტატუსთან შეუსაბამობა გეოლოგიური თვალსაზრისით; ძეგლის, როგორც ტურისტული ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა – საინჟინრო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური თვალსაზრისით; ასევე, საკითხის ეკოლოგიური და ეკონომიკური მხარეების შესწავლა.¹⁴

ზემოთ მოყვანილი ცხრა კომპონენტის გათვალისწინებით, კომისიამ აღნიშნა, რომ მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მალაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და ეროვნული კატეგორია მინიჭებული აქვს სამართლებრივი ნორმების დარღვევით. ხოლო ძეგლის გადატანის საკითხზე მსჯელობისას, გამოიკვეთა სრულად განსხვავებული გარემოებები.¹⁵

შედეგად, კომისიამ დადგენილად მიიჩნია ხუთი ძირითადი საკითხი, რომლებიც შემდეგი სახით შეიძლება დავაჯგუფოთ:

- მალაროსთვის კულტურის უძველესი ძეგლის სტატუსის და შემდგომ „ეროვნული კატეგორიის“ მინიჭება მოხდა სათანადო სამეცნიერო და იურიდიული საფუძველების გარეშე, კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც საყდრისის საბადოზე ლიცენზიის მფლობელ კომპანიას, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს;
- საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ, უძველესი ოქროს მალაროს არსებობის დასაბუთება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი;
- სამთო გამონამუშევრების უდიდესი ნაწილი, წარმოდგენილი ვინრო, უსწორმასწორო და დახრილი გვირაბებით, არ არის და ვერც იქნება ხელმისაწვდომი არა თუ ვიზიტორების, არამედ მკვლევარებისთვისაც კი;
- ეთხოვოს RMG-ს, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით მოაწყოს სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ბოლნისის ფილიალი და იქ, შეძლებისდაგვარად, გადაიტანოს არქეოლოგიური არტეფაქტები;
- კომისია ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ დაუშვებელია საწარმოს ფუნქციონირების დაუსაბუთებელი, ხელოვნური შეფერხება, ვინაიდან ამგვარი მიდგომა სერიოზულად აზარალებს როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტს და პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს.¹⁶

2.4. საყდრისი-ყაჩაღიანისთვის მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობა

კომისიის დასკვნის საფუძველზე, 2013 წლის 5 ივლისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით, ბათილად იქნა ცნობილი შესაბამისი სამართლებრივი აქტის ის ნაწილი, რომლის

¹⁴ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის #03/82 ბრძანება;

¹⁵ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა. 2013 წ.

¹⁶ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა. 2013 წ.

მიხედვითაც, სამინისტროს შეფასებით, საყდრისი-ყაჩაღიანს უკანონოდ ჰქონდა მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. პარალელურად გადაწყდა, რომ დაწყებულიყო მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო ღონისძიებების გატარების კუთხით. ასევე, უნდა მომზადებულიყო მოძრავი ძეგლის გადასატანად საჭირო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც შემდგომში კომპანიასა და სამინისტროს შორის გაფორმდებოდა. საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა კი, 2013 წლის 15 სექტემბრამდე უნდა განხორციელებულიყო.¹⁷

სამინისტროს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში რამდენიმე საკითხია საგულისხმო, რომლის სათანადოდ გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სადავო საკითხზე განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ: *კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყო 11 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, 35 დღიანი მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (1999-2007) საქართველოს კანონის დარღვევით ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული.*¹⁸

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუშვებთ, რომ საყდრისი-ყაჩაღიანს 2006 წელს კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, აღნიშნული გარემოება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ უპირობოდ აუცილებელი იყო ობიექტისთვის მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობა და საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სტატუსის გარეშე დატოვება. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივ აქტში როგორც არსებითი შესწორების შესაძლებლობას, ისე ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.¹⁹

ამასთან, კომისიის დასკვნა, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობის საფუძველი გახდა, სულაც არ წარმოადგენდა სავალდებულოდ გასათვალისწინებელი ხასიათის დოკუმენტს და სამინისტროს თავისუფლად შეეძლო, კომისიის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ასახული მტკიცებულებების მართებულობა გადაემოწმებინა კომპეტენციის ფარგლებში როგორც სამინისტროში არსებული მინისტრის სათათბირო ორგანოს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საშუალებით,²⁰ ასევე, უშუალოდ ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციისგან კომისიის დასკვნაში ასახულ საკითხებზე მოსაზრებების წარდგენის მოთხოვნით. აღნიშნული ორი წინაპირობის სამინისტროს მხრიდან სათანადოდ გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს თემის სრულ შესწავლას და სადავო საკითხზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას გაზრდიდა. მით უმეტეს, რომ კომისიამ, რომელმაც სულ 35 დღე იმუშავა,²¹ ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მრავალწლიანი მუშაობისგან განსხვავებით, კარდინალურად საპირისპირო შეფასება მისცა საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების მატარებელი ობიექტის მნიშვნელობას.

გარდა საყდრისი-ყაჩაღიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობისა, საყურადღებოა ისიც, რომ სამინისტრომ ისე დაავალა მისსავე სისტემაში შემავალ სამსახურს მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება,²² რომ რეალურად ხელთ არ ჰქონია ამომწურავი ინფორმაცია, შესაძლებელი იყო თუ არა კულტურული მემკვიდრეობისთვის მნიშვნელოვანი ობიექტების გამოცალკეება და გადატანა.

კიდევ ერთი საკითხი, რაც იმავე კონტექსტში უნდა იყოს განხილული და რაც დამატებით შესაძლებლობას ანიჭებდა სამინისტროს, რომ საკითხზე, თუნდაც დროებითი ხასიათის, გადაწყვეტილება მიეღო, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული. აღნიშნული კანონის თანახმად: *თუ ვერ ხერხდება ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა, ასევე, როდესაც მის ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას ან დამატებით შესწავლას საჭიროებს, მინისტრი უფლებამოსილია, მაინც შეიტანოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში.*²³ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემა და ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანა ავტომატურად გამოიწვევდა საქართველოს კანონმდებლობით ძეგლის მიმართ დადგენილი რეჟიმის გავრცელებას,²⁴ რაც დროებითი ხასიათის ღონისძიება იქნებოდა და, საკითხზე საბოლოო ობიექტური გადაწყვეტილების მიღებამდე, არსებითად გაზრდიდა საყდრისი-ყაჩაღიანის დაცვის შესაძლებლობას.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ფორმით

¹⁷ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანება;

¹⁸ <http://www.culture.gov.ge/topicdetails-1.7405.html>;

¹⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 59, ნაწილი 2, მუხლი 63;

²⁰ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 5, პუნქტი 4;

²¹ <http://www.culture.gov.ge/topicdetails-1.7405.html>;

²² საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის #03/108 ბრძანება;

²³ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 15, პუნქტი 4;

²⁴ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 15, პუნქტი 4;

საყდრისი-ყაჩალიანის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანა შესაძლებელი იყო 6 თვის ვადით, ხოლო ამ ვადის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 6 თვით.²⁵

პარალელურად, იმ დროის განმავლობაში, სანამ საყდრისი-ყაჩალიანის სათანადო დაცვის შესაძლებლობა შეიქმნებოდა, სამინისტროს თავისუფლად შეეძლო, გამოცდილი ექსპერტებითა და სპეციალისტებით დაკომპლექტებული საერთაშორისო კომისია შეექმნა, რის შედეგადაც, სათანადო დასკვნის საფუძველზე, რეალურად დადგინდებოდა საყდრისი-ყაჩალიანის კულტურული ღირებულება.

სამწუხაროდ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ზემოთ აღნიშნული არც ერთი შესაძლებლობა არ გამოუყენებია.

საყდრისი-ყაჩალიანთან დაკავშირებით ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობის ირგვლივ საუბრის ბოლოს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობაში და მისი ბათილად ცნობა მოითხოვა.²⁶ საქართველოს მთავრობამ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი იმ მოტივით უთხრა, რომ საჩივრის ავტორი დაინტერესებულ მხარედ ვერ იქნებოდა მიჩნეული.²⁷ მოგვიანებით, მხარეებს შორის დავამ თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაინაცვლა.²⁸

2.5. საყდრისი-ყაჩალიანი, როგორც არქეოლოგიური ობიექტი

საყდრისი-ყაჩალიანისთვის ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობის შემდეგ, საყდრისი-ყაჩალიანი შესაბამის დაცვით ზონასთან ერთად მხოლოდ არქეოლოგიური ობიექტის სტატუსით შემოიფარგლებოდა.

2013 წლის 11 სექტემბერს შპს „RMG Gold“-მა წერილობით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და არქეოლოგიური ობიექტისთვის დამცავი ზონის გაუქმება ითხოვა.²⁹ იმავე წლის 7 ოქტომბერს დაკმაყოფილდა კომპანიის თხოვნა და საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიურ ობიექტს გაუუქმდა შესაბამისი დამცავი ზონა.³⁰ აღნიშნული გადაწყვეტილებით, კიდევ უფრო შემცირდა ობიექტის დაცვის შესაძლებლობა. შედეგად, იმისათვის, რომ „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები დაეწყო, კანონით გათვალისწინებული ერთადერთი მოთხოვნის დაკმაყოფილება იყო საჭირო, რაც სამინისტროს მხრიდან შესაბამისი დადებითი დასკვნის მიღებას გულისხმობდა.³¹ დადებითი დასკვნის მისაღებად კი, კომპანიას სამინისტროში სათანადო წესით ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები უნდა წარედგინა.³²

2013 წლის 28 ნოემბერს „RMG Gold“-მა სამინისტროს წარუდგინა შპს „არქეოლოგიური გაერთიანების“ მიერ არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის საბოლოო ანგარიში და იმ დასკვნის გაცემა მოითხოვა, რომლის თანახმადაც, კომპანიას საყდრისი-ყაჩალიანის ტერიტორიაზე სამთო სამუშაოების წარმოების შესაძლებლობა მიეცემოდა.³³

2.6. შპს „არქეოლოგიური გაერთიანების“ დაწუნებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში და „RMG Gold“-ის მიერ გასაჩივრებული უარი

„RMG Gold“-ის მიერ 2013 წლის 28 ნოემბერს არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის საბოლოო ანგარიშის წარდგენის დროს, საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავდა, რომ არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ მომზადებული ანგარიშების განხილვა სამინისტროს სისტემაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის მიერ უნდა მომხდარიყო.³⁴ შესაბამისად, კომპანიის მიერ სამინისტროში წარდგენილი ანგარიში განსახილველად არქეოლოგიურ სექციას გადაეცა. სექციის მიერ 2014 წლის 9 იანვარს ჩატარებული სხდომის ოქმით კი, ცნობილი ხდება შემდეგი: **საბჭომ მიიჩნია, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საყდრისი-ყაჩალიანის ტერიტორიაზე შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (2013 წლის 21 ოქტომბერი – 12 ნოემბერი) არ იყო სრულყოფილი და უნდა გაგრძელებულიყო არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა.**³⁵ შედეგად, ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, 2014 წლის 13 იანვარს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შპს „RMG Gold“-ს შესაბამისი შეტყობინებით უარი უთხრა საყდრისი-ყაჩალიანის ტერიტორიაზე

²⁵ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 15, პუნქტი 5;

²⁶ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2013 წლის 9 სექტემბრის #29018 ადმინისტრაციული საჩივარი;

²⁷ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის #1433 განკარგულება;

²⁸ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2013 წლის 2013 წლის 18 ნოემბრის სარჩელი;

²⁹ „RMG Gold“-ის 2013 წლის 11 სექტემბრის #550(გ) განცხადება;

³⁰ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულება;

³¹ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 14, პუნქტი 1;

³² საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 14, პუნქტი 2;

³³ „RMG Gold“-ის 2013 წლის 28 იანვრის განცხადება;

³⁴ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2007 წლის 22 ოქტომბრის #3/192 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 5, ქვეპუნქტი „ბ“;

³⁵ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 9 იანვრის სხდომის ოქმი #1;

მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოებაზე.³⁶

სამინისტროს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ ადმინისტრაციული წესით საქართველოს მთავრობაში გაასაჩივრა და, სადავო აქტის ბათილად ცნობის პარალელურად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის აუცილებელი დადებითი დასკვნის გაცემა მოითხოვა.³⁷

2014 წლის 20 თებერვალს საქართველოს მთავრობამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შპს „RMG Gold“-ის ადმინისტრაციული საჩივარი და სამართლებრივ არგუმენტებად დიდწილად სამინისტროს მიერ საკითხზე გადაწყვეტილების მომზადებისა და გამოცემის წესის დაუცველობა და პროცედურული დარღვევები მიუთითა. საქართველოს მთავრობამ სამინისტროს დაავალა – **შეესწავლა შპს „RMG Gold“-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და, ადმინისტრაციული განხილვის შედეგად, ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიეღო.**³⁸

ამრიგად, სამინისტრო კიდევ ერთხელ უნდა მიბრუნებოდა სადავო საკითხს, გაეთვალისწინებინა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება და ადმინისტრაციული წარმოება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელებინა, შედეგად კი, ობიექტური და მიუკერძოებელი განხილვის საფუძველზე, დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო.

2.7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შპს „RMG Gold“-ზე გაცემული დადებითი დასკვნა

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე,³⁹ სამინისტრომ 2014 წლის 25 თებერვალს წერილობით მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ფართობში მოქცეული საყდრისის ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებისა და საყდრისი-ყაჩაღიანის საარქივო ბიბლიოგრაფიული მასალის განხილვა, ასევე, ამ მასალებზე დაყრდნობით, შესაბამისი კომპეტენტური დასკვნის მომზადება სთხოვა.⁴⁰

სამინისტროს 2014 წლის 25 თებერვლის წერილობითი თხოვნის პასუხად, სააგენტომ, დროის მცირე მონაკვეთში, 2014 წლის 6 მარტით დათარიღებული დასკვნა წარუდგინა და მიიჩნია, რომ „საკითხთან დაკავშირებით არსებული მასალების კომპლექსური შეფასების შედეგად, საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე უძველესი ოქროს მალაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა არ არის დადასტურებული. ვინაიდან 2013 წელს, ობიექტზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად, ტერიტორიაზე კულტურული ფენების არსებობა დაფიქსირებული არ არის, მიზანშეწონილია, შპს „RMG Gold“-ს, სამუშაოების გაგრძელების მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან მიეცეს დადებითი დასკვნა.“⁴¹

სააგენტოს ზემოთ აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სამინისტრომ შპს „RMG Gold“-ს 2014 წლის 13 მარტს გაუგზავნა შესაბამისი შეტყობინება, რომლის თანახმადაც, ცნობილი გახდა, რომ შპს „RMG Gold“-მა სამთო სამუშაოების განსახორციელებლად დადებითი დასკვნა მიიღო.⁴²

სამინისტროს მიერ, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების მიზნით, შპს „RMG Gold“-ზე გაცემული დადებითი დასკვნა არაერთ კითხვას ბადებს და, მთელ რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობაში მოდის კანონთან. კერძოდ, **სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით წარიმართა, რამაც, საბოლოოდ, საკითხზე კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.**

მხედველობაში გვაქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული შემდეგი ვალდებულებები:

- ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.⁴³

სამინისტროს მხრიდან არ მომხდარა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, ასევე – ამ გარემოებათა შეფასება და ურთიერთშეჯერება, რის საფუძველზეც უნდა მიღებულიყო საბოლოო გადაწყვეტილება.

³⁶ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 იანვრის #01/08-107 კორესპონდენცია;

³⁷ შპს „RMG Gold“-ის 2014 წლის 15 იანვრის ადმინისტრაციულ საჩივარზე საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ 2014 წლის 29 იანვარს ჩატარებული ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი;

³⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #313 განკარგულება;

³⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #313 განკარგულება;

⁴⁰ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 25 თებერვლის #02/08-931 წერილი;

⁴¹ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის #05/09/221 კორესპონდენცია;

⁴² საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 კორესპონდენცია;

⁴³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 96, ნაწილი 1;

- დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.⁴⁴
- საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის მიზნით, კანონი სამინისტროს უფლებას ანიჭებს: გამოითხოვოს დოკუმენტები; შეაგროვოს ცნობები; მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს; დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი; დანიშნოს ექსპერტიზა; გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები; მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.⁴⁵

თუმცა, სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს სამინისტროს სათანადოდ არ გამოუყენებია ზემოთ აღნიშნული საშუალებები, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საკითხზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოების დროს მხოლოდ მანამდე არსებული დოკუმენტების ნაწილის ანალიზი მოახდინა და ისიც არასრულყოფილად. აღნიშნული გარემოება კი, თავისთავად, ეჭვის ქვეშ აყენებს საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხზე სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობას.

მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც კომპანიამ დადებითი დასკვნა მიიღო, რეალურად არ ეფუძნება ისეთი სახის მტკიცებულებებს, ანგარიშებს ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს, რაც მანამდე არ არსებობდა და, შეეძლო, არსებითად შეეცვალა სამინისტროს მიერ იმავე საკითხზე, შპს „RMG Gold“-თან დაკავშირებით 2014 წლის 13 იანვარს მიღებული უარყოფითი შინაარსის გადაწყვეტილება. შესაბამისად, ერთი და იგივე დოკუმენტებით, ერთსა და იმავე საკითხზე მსჯელობისას, სამინისტრომ ორი ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო. პირველ შემთხვევაში, შპს „RMG Gold“-ს უარი უთხრა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით დადებითი დასკვნის გაცემაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, თავადვე გასცა დადებითი დასკვნა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სააგენტოს მიერ დასკვნის მომზადებისა და სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს მსჯელობა არ მომხდარა და არ შეფასებულა სამინისტროში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის მიერ 2014 წლის 9 იანვარს ჩატარებული სხდომის ოქმში დაფიქსირებული გარემოებები. როგორც აღნიშნული ოქმის დასკვნითი ნაწილიდან ირკვევა, საბჭომ მიიჩნია, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (2013 წლის 21 ოქტომბერი – 12 ნოემბერი) არ იყო სრულყოფილი და უნდა გაგრძელებულიყო არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა.⁴⁶

გაუგებარია, რატომ მიიღეს მხედველობაში შპს „არქეოლოგთა გაერთიანების“ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში სააგენტომ და სამინისტრომ და რატომ გასცეს თანხმობა სამუშაოების წარმოებაზე, მაშინ როცა სამინისტროში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის მიერ აღნიშნული ანგარიში უარყოფითად იყო შეფასებული, ხოლო ანგარიშის ხელახალი შეფასება სექციის მიერ არ მომხდარა. საყურადღებოა ისიც, რომ ანგარიშის უარყოფითი შეფასება თავის დროზე დადასტურებული ჰქონდა თავად სამინისტროსაც.⁴⁷

ამრიგად, მიუხედავად კანონის არაერთი მოთხოვნის დარღვევისა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2014 წლის 13 მარტს შპს „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განსახორციელებლად დადებითი დასკვნა მისცა.

სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, ბათილად ცნობის მოთხოვნით, მიმდინარე წლის 11 აპრილს კახა კოჭორიძის და დალი მამულაშვილის მიერ საქართველოს მთავრობაში ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა.⁴⁸ საქართველოს კანონმდებლობით, სამინისტროს გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება იწვევს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან.⁴⁹ თუმცა, საზოგადოებაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შპს „RMG Gold“-ის მხრიდან საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ტერიტორიაზე მანაც მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, რაც, ბუნებრივია, კანონიერად ვერ ჩაითვლება.

მოგვიანებით, 2014 წლის 5 მაისით დათარიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობამ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორებს აცნობა, რომ მთავრობა წარდგენილ საჩივარს არ განიხილავდა, რადგანაც მომჩივნები არაუფლებამოსილი პირები იყვნენ. ამასთან, მთავრობა მიიჩნევდა, რომ:

- საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენდა საჩივრის ავტორების კანონიერ ინტერესებსა და უფლებებზე, არ აყენებდა მათ უშუალო ზიანს;

⁴⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 96, ნაწილი 2;

⁴⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 97;

⁴⁶ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის 2014 წლის 9 იანვრის სხდომის ოქმი #1;

⁴⁷ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 24 იანვრის #01/13-321 კორექსონდენცია;

⁴⁸ კახა კოჭორიძის და დალი მამულაშვილის 2014 წლის 11 აპრილის ადმინისტრაციული საჩივარი;

⁴⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 184;

- საჩივრის წარმდგენებს საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით არ ჰქონდათ იურიდიული, ლეგიტიმური, პატივსაცემი ინტერესი;
- საყდრისი ყაჩაღიანს არ გააჩნდა არქეოლოგიური ობიექტის სტატუსი და ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა კულტურულ მემკვიდრეობას;
- საყდრისი-ყაჩაღიანში არ იყო კულტურული ფენა.⁵⁰

საიას მოსაზრებით, საქართველოს მთავრობის მიერ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა დარღვევით არის მიღებული, რადგან:

- *საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია, ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე.*⁵¹ ამასთან, კონსტიტუცია ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.⁵² აღნიშნული ნორმა თითოეულ მოქალაქეს, და არა პირთა შეზღუდულ წრეს, აძლევს უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფოსგან ყველასთვის საერთო კულტურული, ასევე, ბუნებრივი გარემოს დაცვა.
- საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 11 თებერვალს რატიფიცირებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ე.წ. ორჰუსის კონვენცია). აღნიშნული კონვენციის თანახმად „გარემოსდაცვით ინფორმაციას“ განეკუთვნება ასევე ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კულტურული ობიექტების მდგომარეობასთან. შესაბამისად, კონვენციის თანახმად, ისეთი ღირებულება, როგორც კულტურული მემკვიდრეობაა, ყველასთან არის დაკავშირებული.⁵³
- დღეის მდგომარეობით, საყდრისი-ყაჩაღიანი არქეოლოგიური ობიექტის სტატუსის მატარებელია.⁵⁴ შესაბამისად, საყდრისი-ყაჩაღიანი წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას, ხოლო კულტურული მემკვიდრეობა და ამ მემკვიდრეობით სარგებლობა და დაცვა განიხილება არა ერთი რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის ან კერძო კომპანიის, არამედ საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებამოსილებად.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დრომდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულ არც ერთ გადაწყვეტილებაში არ ყოფილა აღნიშნული, რომ საყდრისი-ყაჩაღიანი აღარ წარმოადგენს არქეოლოგიურ ობიექტს. ხოლო ის გადაწყვეტილება, რომლითაც თითქოსდა საყდრისი-ყაჩაღიანში კულტურული ფენების არსებობა არ დასტურდებოდა, გასაჩივრდა და სადავო დოკუმენტს წარმოადგენდა.

იმავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს შემდეგი – თუ დავუშვებთ, რომ საყდრისი-ყაჩაღიანი მართლა აღარ წარმოადგენს არქეოლოგიურ ობიექტს და იქ კულტურული ფენა არ არის, მაშინ ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რა საჭირო იყო სამინისტროს მიერ იმ უცხოელი ექსპერტების ჩამოყვანა, რომლებსაც, სხვა საკითხების პარალელურად, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, „RMG Gold“-ის მიერ წარმოებული სამთო სამუშაოების მონიტორინგი დაევალებათ.

საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება, რომლითაც კახა კოჟორიძეს და დალი მამულაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი ეთქვათ, სასარჩელო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა.

მოსარჩელებმა კულტურის სამინისტროს იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვეს, რომლის თანახმადაც, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კომპანია „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება მისცა. გასაჩივრდა ასევე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, სარჩელში აღინიშნა, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოსარჩელები სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას ითხოვდნენ.

2014 წლის 30 მაისს მიღებული განჩინებით,⁵⁵ თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელების – კახა კოჟორიძისა და დალი მამულაშვილის შუამდგომლობა და შეაჩერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც,

⁵⁰ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2014 წლის 5 მაისის #14990 კორესპონდენცია;

⁵¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 34, პუნქტი 2;

⁵² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37, პუნქტი 3;

⁵³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ე.წ. ორჰუსის კონვენცია). მუხლი 2, პუნქტი 3.

⁵⁴ საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი „ლ“;

⁵⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 მაისის განჩინება #3/1654-14 საქმეზე;

კომპანია „RMG Gold“-მა საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება მიიღო. შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით, კომპანიას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საყდრისი-ყაჩაღიანში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით სამუშაოების წარმოება ეკრძალება.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელების პოზიცია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეუჩერებლობით, შესაძლოა, მოხდეს ზემოაღნიშნული ობიექტის დაზიანება, რაც შეუძლებელს გახდის მისი პირვანდელი მდგომარეობისა და არქეოლოგიური ღირებულების აღდგენას. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო ზემოთ მითითებული ობიექტის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, ასევე, იმ გარემოს შენარჩუნება, რომელიც განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ თუ არქეოლოგიურ ღირებულებას.

დღევანდელი მდგომარეობით, „RMG Gold“-ს საყდრისი-ყაჩაღიანში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება შეჩერებული აქვს.

3. საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებული პარალელური პროცესები

3.1. 2014 წლის 8 იანვრის განცხადება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

2014 წლის 8 იანვარს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარდგენილ იქნა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით, რომლის მიხედვითაც, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება იყო მოთხოვნილი.⁵⁶

განცხადებასთან დაკავშირებით, 2014 წლის 27 იანვარს სამინისტროში გამართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული და მეთოდოლოგიური სექციის სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება – წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე მდებარე არქეოლოგიური ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება და ძეგლის საზღვრების საბოლოო დაზუსტება.⁵⁷ თუმცა, მიუხედავად საბჭოს დადებითი რეკომენდაციისა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მხრიდან არ მომხდარა საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარება და საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება.

3.2. სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით

საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც არქეოლოგიურ ობიექტის, დაზიანების შესახებ ჯერ კიდევ 2014 წლის 8 იანვარს გახდა ცნობილი. ინფორმაციის თანახმად, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე ადგილი ჰქონდა კლდის მასივში ამოკვეთილი წყლის ძეგლი აუზის და მის გვერდით არსებული, ასევე კლდეში ნაკვეთი, ამბოსების (მადნის გასამდიდრებელი სანაყები) მონგრევის ფაქტს.⁵⁸ აღნიშნული ინფორმაცია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მალევე იქნა მიწოდებული შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი განყოფილებისთვის, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში, საკითხის შესწავლის მიზნით.⁵⁹ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შსს-სთვის მიმართვა მიუთითებს, რომ სააგენტო თავად ხედავდა დანაშაულის ნიშნებს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტში.

პარალელურად, 2014 წლის 14 მარტს „სტუდია მონიტორმა“, დოკუმენტური საგამოძიებო ფილმის მომზადების დროს, ვიდეო ფორზე დააფიქსირა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტი. აღნიშნული ვიდეო კადრები, გადაღებიდან მალევე გამოჩნდა ტელეკომპანია „მეტროს“ ეთერში, როგორც ფილმის ანონსი.⁶⁰ საბოლოოდ, საზოგადოებამ ფილმი 2014 წლის 6 აპრილს იხილა.⁶¹

ზემოთ აღნიშნული ორი შემთხვევა საკმარისი საფუძველი იყო იმისთვის, რომ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებას გამოძიება დაეწყო. თუმცა, გამოძიების დაწყების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას არ მიუღია.

მიმდინარე წლის 21 მარტს საიამ თავად მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური

⁵⁶ დოქტორ გიორგი მინდიაშვილის 2014 წლის 8 იანვრის #141 განცხადება;

⁵⁷ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული და მეთოდოლოგიური სექციის 2014 წლის 9 იანვრის სხდომის ოქმი #2;

⁵⁸ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური სექციის წევრის, გიორგი ნარიმანიშვილის 2014 წლის 9 იანვრის მოხსენებითი ბარათი;

⁵⁹ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 14 იანვრის განცხადება;

⁶⁰ ფილმის ანონსი <https://www.youtube.com/watch?v=FueBxZvF8I0>;

⁶¹ <https://www.youtube.com/watch?v=oAQcmApCms0>;

ობიექტის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით.⁶² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან საიას ეცნობა, რომ დოკუმენტაცია საქართველოს მთავარ პროკურატურაში იყო გადაგზავნილი.⁶³ შესაბამისად, საიამ ამჯერად უკვე პროკურატურას მიმართა კითხვებით: მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება; თუ მიმდინარეობდა – სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით და გამოკვეთილი იყო თუ არა კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.⁶⁴

სამწუხაროდ, პროკურატურას საიასთვის მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოუწოდებია. მიმდინარე წლის 6 მაისს საიამ კიდევ ერთხელ მიმართა პროკურატურას და, 2014 წლის 11 აპრილის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის პარალელურად, გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდა.⁶⁵

მნიშვნელოვანია, რომ საიას მიმართვის სამართლებრივი საფუძველი საქართველოს კანონმდებლობაა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად: „არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე, ან არქეოლოგიურ ობიექტზე განზრახ ზემოქმედება, რამაც მისი დაზიანება ან განადგურება გამოიწვია ან რის შედეგადაც ვერ ხერხდება მისი დათარიღება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვება – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე. ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი გაუფრთხილებლობით — ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ერთ წლამდე.“⁶⁶

ამავე კოდექსის თანახმად: „დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან, დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.“⁶⁷

საბოლოოდ, მიუხედავად პროკურატურისადმი რამდენჯერმე მიმართვისა, საიასთვის ამ დრომდე უცნობი რჩება ინფორმაცია იმის შესახებ, მიმდინარეობს თუ არა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტზე გამოძიება და გამოიკვეთა თუ არა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა.

3.3. საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულის წერილი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პასუხი

საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებულ საკითხზე მუშაობის დროს არაერთი ოფიციალური დოკუმენტის შესახებ გახდა ცნობილი, რომელთა ნაწილი შესაძლოა პირდაპირ არ იყოს დაკავშირებული საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხზე გადანყვეტილების მიღებასთან, მაგრამ, თავისი შინაარსით, უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია და ხაზს უსვამს ობიექტის კულტურულ ღირებულებას.

ბუნებრივია, საიას მიზანს არ წარმოადგენს ყველა იმ ოფიციალური დოკუმენტის ანალიზი, რომლებიც 2013-2014 წლებში საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობაში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა თუ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში იყო წარდგენილი (მით უმეტეს, ბევრი მათგანი სცილდება სამართლებრივ ფარგლებს და შესაბამის სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს). თუმცა, ცალკე ყურადღებას იმსახურებს საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულის წერილი,⁶⁸ რომელიც, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლით, 2013 წლის 24 სექტემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში იქნა წარდგენილი.⁶⁹ რწმუნებულის წერილში, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც იზიარებდა, აღნიშნულია, რომ **გონივრული იქნებოდა, თუ საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის მიზნით, დამოუკიდებელ ექსპერტთა საერთაშორისო კომისია შეიქმნებოდა, რომლის დასკვნის საფუძველზეც მოხდებოდა გადანყვეტილებების მიღება შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებით.**⁷⁰

საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულის წერილის პასუხად, 2014 წლის 7 ოქტომბრით დათარიღებულ კორესპონდენციაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აღნიშნავდა, რომ **სამინისტრო იზიარებდა გერმანული მხარის პოზიციას და მიიჩნევდა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი მალაროს შესახებ საერთაშორისო ექსპერტთა დასკვნების არსებობა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს არსებული პრობლემის მოგვარებას.**⁷¹

სამინისტროს ზემოთ აღნიშნული 2013 წლის 7 ოქტომბრის წერილით გამოხატული მზადყოფნის და

⁶² საიას 2014 წლის 21 მარტის #გ-04/121.14 განცხადება;

⁶³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 აპრილის #651757 კორესპონდენცია;

⁶⁴ საიას 2014 წლის 11 აპრილის #გ-04/149/14 განცხადება;

⁶⁵ საიას 2014 წლის 5 მაისის #გ-01/177.14 განცხადება;

⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 259¹;

⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 100;

⁶⁸ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულის 2013 წლის 13 სექტემბრის კორესპონდენცია;

⁶⁹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 24 სექტემბრის #01/38779 კორესპონდენცია;

⁷⁰ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 24 სექტემბრის #01/38779 კორესპონდენცია;

⁷¹ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 7 ოქტომბრის #01/08-4277 კორესპონდენცია;

გერმანული მხარის პოზიციის გაზიარების მიუხედავად, საერთაშორისო ექსპერტთა ჩამოყვანა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

3.4. დასკვნის მაგიერ

საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის, ირგვლივ განვითარებული მოვლენები მიუთითებს, თუ რაოდენ გულისყურით უნდა ეკიდებოდეს ხელისუფლება ნებისმიერ საკითხს. ეს ყურადღება განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როცა საკითხი სცილდება ერთი რომელიმე საჯარო უწყების ან კერძო კომპანიის ინტერესის სფეროს და მთლიანად საზოგადოების ან მის დიდი ნაწილის ინტერესს წარმოადგენს.

საყდრისი-ყაჩაღიანის შემთხვევა ნათლად აჩვენებს იმასაც, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კანონის მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებას და საკითხზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, საყდრისი-ყაჩაღიანთან, როგორც კულტურულ მემკვიდრეობასთან, დაკავშირებით ხელისუფლების დამოკიდებულება არ იყო თანმიმდევრული და სცილდებოდა კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ფარგლებს.

4. საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებული კომპანიები და ლიცენზიები

4.1. სანამ ლიცენზია გავრძელდებოდა

საიას ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, ლიცენზია, რომელიც სხვა ტერიტორიების პარალელურად საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიასაც მოიცავდა, 1996 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ სალიცენზიო დოკუმენტშია დაფიქსირებული.⁷² როგორც აღნიშნული ლიცენზიიდან ხდება ცნობილი, ის შპს „ტრანს-ჯორჯიან რესურსზე“ იყო გაცემული და „ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების ნიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებას“ უკავშირდებოდა. თავის მხრივ, ლიცენზია მოიცავდა პერიოდს 1994 წლის 7 აპრილიდან 2014 წლის 7 აპრილამდე და ჯამში 20 წელი გრძელდებოდა.⁷³

სამენარმეო რეესტრში დაცული ჩანაწერების თანახმად, კომპანია სახელწოდებით „ტრანს-ჯორჯიან რესურსი“ 1995 წლის 8 სექტემბერს დაფუძნდა.⁷⁴ თუმცა, თავად ლიცენზიის ათვლის პერიოდი 1994 წლის 7 აპრილიდან იწყება.⁷⁵

ზემოთ აღნიშნული ლიცენზია, რომელიც „ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების ნიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე“ იყო გაცემული და, სხვა ტერიტორიების პარალელურად, საყდრისის საბადოსაც მოიცავდა (იმ დროისთვის საყდრისი-ყაჩაღიანი არ წარმოადგენდა კულტურულ მემკვიდრეობას), 2009 წელს, კომპანიათა შერწყმის შედეგად,⁷⁶ შპს „კვარციტის“ საკუთრებაში გადავიდა.⁷⁷

კომპანია, სახელწოდებით შპს „RMG Gold“-ი, სამენარმეო რეესტრის ჩანაწერებში 2012 წლის 5 სექტემბრიდან ჩნდება, როდესაც შპს „კვარციტმა“ სახელწოდება შეიცვალა და შპს „RMG Gold“-ი გახდა.⁷⁸ იმ დროისთვის კომპანიის პარტნიორები იყვნენ: 85,47% წილის მესაკუთრე ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია „Rich Metals Group B.V.“ და 14,53% წილის მესაკუთრე სს „RMG Copper“,⁷⁹ რომლის 99,1% წილის მესაკუთრეც იგივე „Rich Metals Group B.V.“ იყო.⁸⁰

ამრიგად, რეალურად, შპს „RMG Gold“-ის (იგივე „კვარციტის“) მესაკუთრედ ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია „Rich Metals Group B.V.“ გვევლინება.⁸¹

სქემატურად ლიცენზიის მოძრაობა 1994-2014 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება:

⁷² ლიცენზია წიაღით სარგებლობაზე #0010, თარიღი 30.12.96;

⁷³ ლიცენზია წიაღით სარგებლობაზე #0010, თარიღი 30.12.96;

⁷⁴ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?state=search_by_name&value=%E1%83%92%E1%83%A4%E1%83%92%E1%83%A4;

⁷⁵ ლიცენზია წიაღით სარგებლობაზე #0010, თარიღი 30.12.96;

⁷⁶ ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=662351&app_id=747784;


⁷⁷ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2009 წლის 11 თებერვლის #1-1/291 ბრძანება

⁷⁸ შპს „კვარციტის“ პარტნიორის 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=510574&app_id=528539 და 2012 წლის 5 სექტემბრის ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=454192&app_id=528539;

⁷⁹ 2012 წლის 5 სექტემბრის ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=454192&app_id=528539;

⁸⁰ სს „მადნეულის“ აქციონერის 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=510565&app_id=528514;

⁸¹ Rich Metals Group B.V.-ს ისევე, როგორც სხვა კომპანიებს, საიას კვლევაში ცალკე თავი აქვს დათმობილი;



4.2. საყდრისი-ყაჩალიანი - „RGM Gold“-ზე ლიცენზიის გაგრძელების წინაპირობა?

2014 წლის 4 აპრილს, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე სამი დღით ადრე, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თანხმობის შესახებ, რომლის საფუძველზეც, გარემოს დაცვის სააგენტოს უფლება მიეცა, შპს „RGM Gold“-ისთვის №0010 ლიცენზია გაეგრძელებინა.⁸²

2014 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ძალითაც, ცხრა დღით ადრე, ამჯერად უკვე იმ ლიცენზიის ძალაში შესვლის თარიღი გადაწინა, რომელიც შპს „Mining Investments Gold“-ს ეკუთვნოდა⁸³ და რომელიც ამავე კომპანიის დამფუძნებელ „Mining Investments“-ს ჯერ კიდევ 2012 წელს ჰქონდა შეძენილი.

მთავრობის ზემოთ აღნიშნული ორივე გადაწყვეტილება პირდაპირ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგანაც, რეალურად, ორივე ლიცენზია ერთსა და იმავე ტერიტორიებს მოიცავდა და, შესაბამისად, შეუძლებელი იქნებოდა, სალიცენზიო საქმიანობის წარმოების უფლება ერთდროულად ორ კომპანიას ჰქონდა. თუმცა, იყო ერთი საგულისხმო დეტალი. კერძოდ, 1994 წლის ლიცენზია (№0010), რომელიც „RGM Gold“-ის საკუთრებაში იყო, მოიცავდა საყდრისი-ყაჩალიანის უბანსაც.⁸⁴ ხოლო „Mining Investments Gold“-ის დამფუძნებლის „Mining Investments“-ის მიერ 2012 წელს შეძენილ ლიცენზიაში ნათლად და ერთმნიშვნელოვნად ეწერა, რომ ლიცენზია არ მოიცავდა საყდრისის საბადოს ყაჩალიანის უბნის იმ ტერიტორიას, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული.⁸⁵

შესაბამისად, თუკი „RGM Gold“-ს ლიცენზიის მოქმედების ვადა არ გაუგრძელებოდა და „Mining Investments Gold“ ლიცენზიის გამოყენებას დაიწყებდა, რეალურად, ის საყდრისის საბადოს ყაჩალიანის უბანს ვერ შეეხებოდა, რადგანაც 2012 წელს შეძენილი ლიცენზია თავიდანვე გამორიცხავდა „Mining Investments Gold“-ის მიერ საყდრისი-ყაჩალიანის უბანზე ნიაღისეულის მოპოვების შესაძლებლობას.

ამრიგად, ლოგიკურად გამოდის, რომ ერთი კომპანიისთვის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების, ხოლო მეორე კომპანიისთვის ლიცენზიის ძალაში შესვლის ვადის გადაწინების უკან სწორედ საყდრისი-ყაჩალიანისადმი ინტერესი დგას.

საყურადღებოა, რომ **იურიდიულად შპს „RGM Gold“ და შპს „Mining Investments Gold“ ერთმანეთთან პირდაპირ დაკავშირებული კომპანიები არ არიან, თუმცა, ეს მხოლოდ ერთი მხედველია.** რეალურად რა კავშირი არსებობს მათ შორის და რის საფუძველზე გაუგრძელდა „RGM Gold“-ს ლიცენზია, აღნიშნულ საკითხებს წარმოდგენილ კვლევაში ცალკე ნაწილი აქვს დათმობილი.

4.3. გარემოებები, რომელთა საფუძველზეც „RGM Gold“-ს ლიცენზია გაუგრძელდა

ოფიციალური ინფორმაციით, შპს „RGM Gold“-მა, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2014 წლის 24 თებერვალს მიმართა. წერილში, რომელსაც კომპანიის გენერალური დირექტორი სერგეი ეგანოვი აწერდა ხელს, საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ირგვლივ განვითარებული მოვლენების გარდა, ასევე, აღნიშნული იყო, რომ 2010 წლის ივლისში მარაგების სახელმწიფო კომისიაზე დამტკიცებული და სახელმწიფო ბალანსზე აყვანილი იქნა „საყდრისის“ საბადოს (აღნიშნული ფართობის ჩათვლით) ოქრო-სპილენძის მადნები, რის საფუძველზეც, შესაბამის სახელმწიფო უწყებებს წარედგინა საბადოს დამუშავების გეგმა. გეგმა წარმოადგენს წლებზე გაწერილ ღონისძიებას და ითვალისწინებს საბადოს სრული მასშტაბით დამუშავებას. ზემოთ მოყვანილი გარემოებების გამო ამ შესაძლებლობას მოკლებული ვიყავით.⁸⁶

წერილში კომპანია ასევე მიუთითებდა, რომ საყდრისის საბადოს დამუშავება ვერ ხერხდებოდა კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და სწორედ ამიტომ შუამდგომლობდა, რომ ლიცენზიის მოქმედების ვადა ერთი წლით გაგრძელებულიყო.⁸⁷

„RGM Gold“-ის ზემოთ ხსენებულ წერილში ერთი უაღრესად საგულისხმო დეტალია აღნიშნული. კერძოდ, წერილში მითითებულია, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს შემუშავდა გეგმა, რომელიც საყდრისის საბადოს (რაც ასევე ყაჩალიანის უბანსაც მოიცავდა) სრული მასშტაბით დამუშავებას ეხებოდა. შესაბამისად, გამოდის, რომ საყდრისი-ყაჩალიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის, სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა ბევრად ადრე დაიგეგმა, ვიდრე ეს 2013 წელს დაიწყებოდა და, საბოლოოდ, იმავე წლის ივლისში ძეგლისთვის სტატუსის ბათილობით დასრულდებოდა.

ბუნებრივია, ლიცენზიის გაგრძელების საფუძველი მხოლოდ „RGM Gold“-ის მხრიდან წერილობით დაფიქსირებული სურვილი ვერ გახდებოდა. საჭირო იყო, ასევე, რომ „RGM Gold“-ს ჰქონდა „Mining Investments

⁸² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის #593 განკარგულება;

⁸³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის #592 განკარგულება;

⁸⁴ ლიცენზია წიაღით სარგებლობაზე #0010, თარიღი 30.12.96;

⁸⁵ 2012 წლის 21 მაისის #1000577 ლიცენზია; 2013 წლის წლის 25 თებერვლის #1001028 ლიცენზია;

⁸⁶ „RGM Gold“-ის 2014 წლის 24 თებერვლის #156(გ) განცხადება;

⁸⁷ „RGM Gold“-ის 2014 წლის 24 თებერვლის #156(გ) განცხადება;

Gold“-ის შესაბამისი თანხმობა. „Mining Investments Gold“-მა „RGM Gold“-ს თანხმობა დროის მცირე მონაკვეთში, ყოველგვარი რთული პროცედურების გარეშე მისცა.

2014 წლის 24 თებერვალს გარემოს ეროვნულ სააგენტოში, „RGM Gold“-ის წერილის პარალელურად, კიდევ ერთი განცხადება იქნა წარდგენილი. განცხადების ავტორს ამჯერად უკვე „Mining Investments Gold“ წარმოადგენდა. დოკუმენტში, რომელსაც კომპანიის დირექტორი სოლომონ ცაბაძე აწერდა ხელს, აღინიშნებოდა, რომ კომპანია თანახმა იყო, „RGM Gold“-ზე გაცემული ლიცენზიის მოქმედების ვადა ერთი წლით გაგრძელებულიყო და, სანაცვლოდ, „Mining Investments Gold“-ის ლიცენზიის ძალაში შესვლაც გადაწეულიყო იგივე ვადით.⁸⁸

კომპანიის მიერ სააგენტოში წარდგენილ განცხადებას თან ერთვოდა „Mining Investments Gold“-ს, ამავე კომპანიის პარტნიორსა და „RGM Gold“-ს შორის არსებული მიმონერა.⁸⁹

ლიცენზიის გაგრძელებასთან დაკავშირებით, „RGM Gold“-მა გენერალური დირექტორის – სერგეი ეგანოვის სახელით „Mining Investments Gold“-ს პირველად 2014 წლის 30 იანვარს მიმართა წერილობით და ლიცენზიის ვადის ერთი წლით გაგრძელების თაობაზე თანხმობა სთხოვა.⁹⁰

იმავე წლის 2 თებერვალს „Mining Investments Gold“-მა „RGM Gold“-ს აცნობა, რომ ამ უკანასკნელის თხოვნა აღემატებოდა კომპანიის დირექტორის კომპეტენციას და იგი ვალდებული იყო, საკითხი განსახილველად „Mining Investments Gold“-ში 100% წლის მფლობელი კომპანიის – „Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭოზე გაეტანა. აღნიშნულ წერილს ხელს „Mining Investments Gold“-ის დირექტორი სოლომონ ცაბაძე აწერდა.⁹¹

2014 წლის 6 თებერვალს „Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭომ, ზურაბ ქუთელიას, დიმიტრი ტროიცკის და დიმიტრი კორჟევის მონაწილეობით, თანხმობა მისცა „Mining Investments Gold“-ს, რომ მიეღო ყველა გადანყევტილება, რასაც საჭიროდ ჩათვლიდა.⁹²

მოგვიანებით, სოლომონ ცაბაძემ „Mining Investments Gold“-ის სახელით, „RGM Gold“-ს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომპანიის დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოზე და დადებითად გადაწყდა. ამავე წერილში კომპანიამზადყოფნას გამოთქვამდა, რომ სათანადო შუამდგომლობით მიმართავდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.⁹³

შედეგად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 2014 წლის 24 თებერვალს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში ლიცენზიასთან დაკავშირებით ორი განცხადება იქნა წარდგენილი: ერთი – ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების, ხოლო მეორე – ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების თხოვნით.⁹⁴

საია დაინტერესდა, თუ როგორ განვითარდა მოვლენები კომპანიების მიერ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განცხადებების წარდგენის შემდეგ და, ამ მიზნით, წერილობით მიმართა როგორც სააგენტოს, ასევე საქართველოს მთავრობის კანცელარიას.⁹⁵

საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2014 წლის 1 აპრილს საქართველოს მთავრობას ორი განკარგულების პროექტი წარუდგინა შესაბამისი განმარტებითი ბარათებით.⁹⁶

სააგენტოს მიერ „Mining Investments Gold“-ის ლიცენზიის ამოქმედებასთან დაკავშირებული ვადის გადაწევის მიზნით მომზადებულ განმარტებით ბარათში ცალსახად აღინიშნა, რომ „RGM Gold“-მა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ განახორციელა ლიცენზირებული ტერიტორიის ე.წ. საყდრის-ყაჩაღიანის საბადოს დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები და კომპანიამ ითხოვა მასზე გაცემული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება.⁹⁷

ამდენად, **სააგენტოს მიერ მომზადებული განმარტებითი ბარათით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ**

⁸⁸ „Mining Investments Gold“-ის 2014 წლის 24 თებერვლის #916 განცხადება;

⁸⁹ „Mining Investments Gold“-ის 2014 წლის 24 თებერვლის #916 განცხადება;

⁹⁰ „RGM Gold“-ის 2014 წლის 30 იანვრის #60(გ) განცხადება;

⁹¹ „Mining Investments Gold“-ის 2014 წლის 2 თებერვლის განცხადება;

⁹² „Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 6 თებერვლის სხდომის ოქმი;

⁹³ Mining Investments Gold“-ის 2014 წლის 7 თებერვლის განცხადება;

⁹⁴ Mining Investments Gold“-ის 2014 წლის 24 თებერვლის #916 და „RGM Gold“-ის 2014 წლის 24 თებერვლის #156(გ) განცხადებები;

⁹⁵ საიას 2014 წლის 2 მაისის #გ-04/189-14 და #გ-04/190.14 განცხადებები;

⁹⁶ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 1 აპრილის #1553 და 1554 კორესპონდენციები;

⁹⁷ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 1 აპრილის 1554 კორესპონდენცია;

„RGM Gold“-ისთვის ლიცენზიის გაგრძელება სწორედ საყდრისი-ყაჩაღიანის ირგვლივ განვითარებული მოვლენებითა და ამ კონკრეტული უბნით იყო განპირობებული.

ამ პროცესში საიამ ვერ შეძლო ისეთი დოკუმენტის მოპოვება, რომლითაც ნათელი გახდებოდა, სააგენტომ საქართველოს მთავრობისთვის შესაბამისი განკარგულებების პროექტების წარდგენამდე „RGM Gold“-ისგან რაიმე დამატებითი დოკუმენტი და არგუმენტაცია მოითხოვა, თუ მხოლოდ კომპანიის მიმართვა გახდა საკმარისი, რომ ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელებულიყო.

სამსუხაროდ, დღემდე უცნობია და ოფიციალურ დოკუმენტებში, არც საქართველოს მთავრობის და არც გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს შემთხვევაში, „RGM Gold“-ის ლიცენზიის გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიღებისას არსად ჩანს პასუხი ისეთ კითხვებზე, როგორიცაა:

- **რატომ არ ხდებოდა საყდრისი-ყაჩაღიანისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებამდე ობიექტზე შესაბამისი წიაღისეულის მოპოვება მაშინ, როცა ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭებამდე ლიცენზიის განმკარგავ წინამორბედ კომპანიას იურიდიულად 2006 წლამდე არავინ უშლიდა ხელს?**
- **რატომ დაიწყო „RGM Gold“-მა საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით რეგულარული მიმოწერა 2013 წელს, როცა ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ერთ წელზე ნაკლები დრო რჩებოდა?**
- **რამდენად რეალურია, რომ 2015 წლის 1 იანვრამდე გაგრძელებული ლიცენზიის პირობებში, კომპანია სრულად უზრუნველყოფს ობიექტზე არსებული წიაღისეულის მოპოვებას და ვადის ამოწურვის დროს არ იარსებებს ეკოლოგიური და სხვა ისეთი სახის პრობლემები, რომლებიც მოსახლეობას ან ბუნებას საფრთხეს შეუქმნის?**

ლიცენზიის გაგრძელებასთან დაკავშირებულ მთელ ამ პროცესში კიდევ ერთი საკითხია მნიშვნელოვანი. საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ირგვლივ დაწყებული დავა-კამათის პარალელურად, ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის აუთვისებელი ნაწილის ათვისება არარენტაბელური და კომპანიისთვის ნაკლებად მომგებიანი იქნებოდა.⁹⁸ საუბრობდნენ იმაზეც, რომ ოქროს ყველაზე დიდი შემცველობა სწორედ საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე იყო.

მოყვანილ მსჯელობას მართებულად თუ მივიჩნევთ და დავუშვებთ, რომ ყაჩაღიანის უბანზე არსებული ოქროს მარაგი მართლა აღემატება სხვა უბნებზე არსებულ მარაგს, მაშინ ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ რატომ გაუგრძელდა „RGM Gold“-ს იმ ლიცენზიის მოქმედების ვადა, რომლის გაგრძელების მიზნითაც, კომპანიას სახელმწიფოს სასარგებლოდ არანაირი თანხა არ გადაუხდია?

ამასთან, ის გარემოება, რომ საყდრისის საბადო, ყაჩაღიანის უბნის გარეშე, სახელმწიფომ 2012 წელს ლიცენზიის სახით 110,500,000 ლარად გაყიდა, ზემოთ მოყვანილ კითხვას კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს სძენს და ბუნებრივად მივყავართ მეორე კითხვამდე: შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან რატომ არ მოხდა ყაჩაღიანის უბნის დამოუკიდებლად გასხვისება?

აქვე კიდევ ერთხელ და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს ლიცენზიაში გადახდილი თანხა არ მოიცავდა საყდრისი-ყაჩაღიანის იმ მონაკვეთს, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი თანხა არ ასახავდა ლიცენზიის იმ ღირებულებას, რაც შეიძლებოდა ყაჩაღიანის უბნის ჩათვლით გადახდილიყო. ეს გარემოება ერთიორად ზრდის საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის ღირებულებას და ნათლად მიუთითებს, თუ რა სარგებელი შეიძლებოდა მიეღო სახელმწიფოს მისი ცალკე გასხვისებით.

ამასთან, წესით, თავის დროზე არც „RGM Gold“-ს უნდა ჰქონდა განსაკუთრებული ეკონომიკური გათვლა საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე, რადგანაც 2009 წელს, როცა ლიცენზია კომპანიის ხელში გადავიდა, საყდრისი-ყაჩაღიანი უკვე წარმოადგენდა ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. ეს გარემოება კი, ობიექტზე მსხვლამატაბინია სამუშაოების წარმოების შესაძლებლობას გამორიცხავდა.

სამსუხაროდ, ლიცენზიის გაგრძელებაზე მსჯელობის დროს სახელმწიფო დაწესებულებებს მსგავსი კითხვები არ გასჩენიათ და „RGM Gold“-ს ლიცენზია ზედმეტი „სირთულეების“ გარეშე გაუგრძელეს. ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ კომპანიას ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 1 იანვრამდე გაგრძელებოდა, არაერთ პასუხგაუცემელ კითხვას ტოვებს.

ზემოთ აღნიშნული მოვლენები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ, შესაძლოა, საყდრისი-ყაჩაღიანის კონტექსტში, „RGM Gold“-ის ლიცენზიის გაგრძელების დროს, კონკრეტული პირების მხრიდან ადგილი ჰქონოდა კორუფციულ ან სხვა ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რაც აუცილებლად უნდა გახდეს სამართალდამცავი ორგანოების დაინტერესების საგანი.

⁹⁸ <https://www.youtube.com/watch?v=aLrH3KTY1bc>;

4.4. როგორ იყიდა 2012 წელს ლიცენზია „Mining Investments“-მა

წინამდებარე კვლევაში უკვე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2012 წელს „Mining Investments“-მა №1000577 ლიცენზია შეიძინა და, მოგვიანებით, ორ შვილობილ კომპანიაზე თანაბრად გაყო.⁹⁹ მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზია არ ვრცელდება საყდრისი-ყაჩაღიანის იმ მონაკვეთზე, რომელიც ლიცენზიის გაცემის დროისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მატარებელი იყო, საინტერესოა იმის გაგება, თუ როგორ და რა ვითარებაში შეიძინა „Mining Investments“-მა ზემოთ აღნიშნული ლიცენზია. მითუმეტეს, რომ 2014 წელს, საყდრისი-ყაჩაღიანის ათვისების მიზნით, ამავე კომპანიის შვილობილმა კომპანიამ „RGM Gold“-ს თანხმობა მისცა საკუთარი ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადებაზე.

საქართველოს მთავრობამ 2012 წლის 18 იანვარს სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის გასამართი აუქციონის სალიცენზიო პირობები დაამტკიცა და საწყის ფასი 110 მილიონით განსაზღვრა.¹⁰⁰

მთავრობის გადაწყვეტილებით, აუქციონი 2012 წლის 29 თებერვალს უნდა გამართულიყო. გამარჯვებული ვალდებული იქნებოდა, რომ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო შემოთავაზებული თანხა გადაეხადა არა უგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა. ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრა 27 წლით და ძალაში 2014 წლის 15 აპრილს უნდა შესულიყო.¹⁰¹

მთავრობის მიერ აუქციონის გამოცხადებიდან ერთ თვეზე ნაკლებ დროში, 2012 წლის 13 თებერვალს, თბილისში შპს „Mining Investments“-ი დარეგისტრირდა. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი იყო რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი.¹⁰² პარალელურად, ალვიდას ბრუსოკასმა იმავე წლის 27 მარტს (აუქციონში გამარჯვებიდან 27 დღის თავზე) კომპანიის 100% წილი კვიპროსში რეგისტრირებულ „NOONSTAR CO LTD“-ს 1000 ლარად მიჰყიდა.¹⁰³ ანუ, კომპანია, რომელმაც აუქციონში გაიმარჯვა და 110,500,000 ლარად ლიცენზია შეიძინა, 1000 ლარად გაიყიდა.

თავის მხრივ, მყიდველის „NOONSTAR CO LTD“-ის საწესდებო კაპიტალი 2000 ევროს შეადგენდა, ხოლო დამფუძნებელი ასევე კვიპროსული „CYPROMAN SERVICES LIMITED“ იყო.¹⁰⁴

შედეგად, თუკი, ერთი მხრივ, ერთმანეთს შევადარებთ აუქციონის გამოცხადებასთან, გამართვასთან, გამარჯვებულის გამოვლენასა და თანხის გადახდასთან დაკავშირებულ პერიოდებს, ხოლო მეორე მხრივ – „Mining Investments“-ის დაფუძნების, აუქციონში გამარჯვების და წილის გასხვისების თარიღებს, არსებობს ალბათობა, რომ მთელი ეს პროცესი ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული.

საილუსტრაციოდ, შესაბამისი სქემაა წარმოდგენილი.

⁹⁹ „Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 8 თებერვლის #7 სხდომის ოქმი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=560813&app_id=578091;


¹⁰⁰ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #18 განკარგულება;

¹⁰¹ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #18 განკარგულება;

¹⁰² დამფუძნებელი პარტნიორის 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=432503&app_id=441406; 2012 წლის 13 თებერვლის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=381382&app_id=441406;

¹⁰³ 2012 წლის 27 მარტის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=451540&app_id=463067;

¹⁰⁴ „NOONSTAR CO LTD“-ს მემორანდუმი და წესდება - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=451540&app_id=463067;



2012 წლის 8 მაისს, „NOONSTAR CO LTD“-ის გადაწყვეტილებით, სოლომონ ცაბაძემ შპს „Mining Investments“-ის დირექტორის თანამდებობაზე აღვიდას ბრუსოკასი ჩაანაცვლა.¹⁰⁵

ამდენად, 2012 წლის 8 მაისისთვის „Mining Investments“-ი, დამფუძნებლების ჩათვლით, შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:



კომპანიაში დირექტორის შეცვლიდან ერთ თვეზე მცირე დროში, „NOONSTAR CO LTD“-მა სს „საქართველოს ბანკთან“ გირავნობის ხელშეკრულება გააფორმა და, შპს „Mining Investments“-ის დაგირავების სანაცვლოდ, სესხის სახით 68,000,000 აშშ დოლარი მიიღო. აღნიშნული თანხა ეროვნულ ვალუტაში ხელშეკრულების გაფორმების დღეს 111,356,800 ლარს შეადგენდა.¹⁰⁶ დამგირავებლის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ თანხად 150,000,000 აშშ დოლარი განისაზღვრა.¹⁰⁷ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების დროს „NOONSTAR CO LTD“-ის 100% წილის მფლობელი უკვე „PAMTILON HOLDINGS LIMITED“ იყო. შესაბამისად, სქემატურად 2012 წლის 4 ივნისისთვის „Mining Investments“, დამფუძნებლების ჩათვლით, შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:




¹⁰⁵ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=468849&app_id=484561; 2012 წლის 8 მაისის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=414606&app_id=484561;

¹⁰⁶ [https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo](https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo;);

¹⁰⁷ 2012 წლის 27 ივნისის ხელშეკრულება გირავნობის შესახებ - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=489351&app_id=506226;

აღსანიშნავია ისიც, რომ „Mining Investments“-ის დაგირავების სანაცვლოდ აღებული სესხი, რომელიც ხელშეკრულების გაფორმების დღეს ეროვნულ ვალუტაში 111,356,800 ლარს შეადგენდა,¹⁰⁸ მნიშვნელოვნად ემთხვევა მთავრობის მიერ სალიცენზიო პირობებით განსაზღვრული საწყის ფასის – 110,000,000 ლარის ოდენობას.¹⁰⁹ მეტი თვალსაჩინოებისთვის, შედარების მიზნით, დიაგრამაზე წარმოდგენილია ინფორმაცია „Mining Investments“-ის და მისი დამფუძნებლის კაპიტალის, ასევე, იმ ფინანსური ვალდებულებების შესახებ, რაც კომპანიებმა აიღეს.



¹⁰⁸ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo;>

¹⁰⁹ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #18 განკარგულება;

საყურადღებოა ისიც, რომ 2012 წლის 27 ივნისს, მსგავსად შპს „Mining Investments“-ისა, დამფუძნებლის მიერ „საქართველოს ბანკში“ კიდევ ერთი, ჩვენთვის ნაცნობი კომპანია, შპს „Mining Developments Georgia“ იქნა დაგირავებული და ამჯერადაც დამგირავებლის წარმომადგენელი სოლომონ ცაბაძე იყო. ხელშეკრულების თანახმად, ბანკმა კომპანიას 50,000,000 აშშ დოლარი მისცა.¹¹⁰

4.5. ცოტა რამ „მთავარი მოქმედი პირების“ შესახებ

ვინ არიან სოლომონ ცაბაძე, ზურაბ ქუთელია, ალვიდას ბრუსოკასი, სერგეი ეგანოვი, დიმიტრი ტროიციკი და დიმიტრი კორჟიევი?

აღნიშნულ პირებს ხშირად შეხვდებით „RGM Gold“-ში, „Mining Investments Gold“-სა და ამ კომპანიების დამფუძნებელი სხვა იურიდიული პირების როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე სამეთვალყურეო საბჭოებში.

სამენარმეო რეესტრში არსებული ჩანაწერების თანახმად, „RGM Gold“-ის გენერალური დირექტორი სერგეი ეგანოვია,¹¹¹ ხოლო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:

- ზურაბ ქუთელია,
- დიმიტრი ტროიციკი,
- დიმიტრი კორჟიევი.¹¹²

თავის მხრივ, „RGM Gold“-ის დამფუძნებელია ნიდერლანდებში რეგისტრირებული „Rich Metals Group B.V.“ და ამავე კომპანიის მიერ დაფუძნებული „RMG Copper“.¹¹³

„RMG Copper“-ის გენერალური დირექტორიც იგივე სერგეი ეგანოვია და სამეთვალყურეო საბჭოსაც კვლავ წარმოადგენენ:

- ზურაბ ქუთელია,
- დიმიტრი ტროიციკი,
- დიმიტრი კორჟიევი.¹¹⁴

რაც შეეხება „Rich Metals Group B.V.“-ს, კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.richmetalsgroup.com მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ საიტი რეკონსტრუქციის რეჟიმშია და კომპანიის შესახებ ინფორმაციის ნახვა ფეისბუქზე შეიძლება.¹¹⁵ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე კომპანიის შესახებ შემდეგი ინფორმაციაა მითითებული:

JSC RMG - Rich Metals Group (ყოფილი JSC Madneuli) არის საქართველოს წამყვანი მადნეულის მომპოვებელი კომპანია. აღნიშნული კომპანია პასუხისმგებელია საქართველოს ექსპორტის მთლიანი წილის 10%-ზე.

კომპანია დაფუძნდა 1975 წელს, ბოლნისის რეგიონში, საქართველოში. კომპანიის მადნეულის მომპოვებელი მლაროები განთავსებულია მთებში, ბოლნისსა და სოფელ კაზრეთს შორის, რომელიც საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან დაშორებულია 80 კმ-ით. კომპანია ალაგდგენს ოქროსა და ვერცხლს ოქროს შემცველი მეორეხარისხოვანი მადნისგან, რომელიც ცნობილია, როგორც კვარციტი. RMG არის ყველაზე დაბალ ფასში ოქროს მწარმოებელი კომპანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოსა და მისი ეკონომიკის განვითარებაში.¹¹⁶

სქემატურად ინფორმაცია კომპანიის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ ასე გამოიყურება:

¹¹⁰ 2012 წლის 27 ივნისის ხელშეკრულება გირავნობის შესახებ - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=489330&app_id=506212;

¹¹¹ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=666819&app_id=752408;


¹¹² „RMG Gold“-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 13 თებერვლის სხდომის ოქმი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=697831&app_id=717393;

¹¹³ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=666819&app_id=752408;

¹¹⁴ 2014 წლის 6 მაისის ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=665219&app_id=750123;

¹¹⁵ <http://www.richmetalsgroup.com/>

¹¹⁶ <https://www.facebook.com/richmetalsgroup/info>;



ვინ დგას „Rich Metals Group B.V.“-ის უკან? საიას მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია სახელწოდებით „Rich Metals Group B.V.“ 2008 წლის 21 იანვარს დარეგისტრირდა ნიდერლანდებში და თავდაპირველად „GPM Georgia B.V.“ ეწოდებოდა. კომპანიის კაპიტალი 9,000,000 ევროს შეადგენდა, ხოლო კომპანიის დირექტორი და ერთპიროვნული მმართველი ალვიდას ბრუსოკასი იყო.¹¹⁷

ნიდერლანდების სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრის 2013 წლის 8 იანვრით დათარიღებული ამონაწერის მიხედვით, კომპანიის საბჭოს წევრი უკვე ნიდერლანდებში რეგისტრირებული „NC Trust B.V.“-ია.¹¹⁸

საიას მიერ მოკვლეული კიდეც ერთი დოკუმენტის თანახმად, „Rich Metals Group B.V.“-ის სახელზე ნიდერლანდების სავაჭრო პალატის მიერ 2013 წლის 18 დეკემბერს გაცემული ამონაწერიდან ცნობილი ხდება, რომ კომპანიის ერთპიროვნული აქციონერი, **იმავე წლის 12 ივლისიდან, საქართველოში რეგისტრირებული შპს „Mining Developments Georgia“-ა.**¹¹⁹

ვინ არის შპს „Mining Developments Georgia“-ს დამფუძნებელი? სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერების თანახმად, დღეისთვის ამ კომპანიის 100% წილის მესაკუთრე კვიპროსში რეგისტრირებული შპს „PAMTILON HOLDINGS LIMITED“-ია,¹²⁰ რომლის შესახებაც მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ კომპანია 2011 წლის 6 ივნისს დაფუძნდა,¹²¹ ხოლო კომპანიის დირექტორი კრისტი ლოიზიდოუ ჰადჯივარნავაა.¹²²

თავის მხრივ, „Mining Developments Georgia“-ს გენერალური დირექტორი უკვე კარგად ცნობილი სოლომონ ცაბაძეა,¹²³ ხოლო სამეთვალყურეო საბჭო აქაც იგივე შემადგენლობით არის წარმოდგენილი:

¹¹⁷ ნიდერლანდების სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრის 2012 წლის 11 ივლისის ამონაწერი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=498470&app_id=515676;

¹¹⁸ ნიდერლანდების სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრის 2013 წლის 8 იანვრის ამონაწერი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=590948&app_id=607475;

¹¹⁹ ნიდერლანდების სავაჭრო პალატის სავაჭრო რეესტრის 2013 წლის 18 დეკემბრის ამონაწერი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=689261&app_id=708585;

¹²⁰ 2014 წლის 8 აპრილის ამონაწერი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=654723&app_id=739836;

¹²¹ <https://efiling.drcor.mcit.gov.cy/DrcorPublic/OrganizationFileContents.aspx?id=424748&nameid=682763®no=288293&name=Pamtilon%20Holdings%20Limited&number=%&lang=EN&searchtype=optStartMatch&tname=%&type=%CE%97%CE%95&subtypecode=101>;

¹²² https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=700324&app_id=720002;


¹²³ 2014 წლის 8 აპრილის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=654723&app_id=739836;

- ზურაბ ქუთელია,
- დიმიტრი ტროიციკი,
- დიმიტრი კორჟევი.¹²⁴

რაც შეეხება შპს „Mining Investments Gold“-ს, იგი 2012 წლის 12 თებერვალს, კიდევ ერთ შვილობილ კომპანია შპს „Mining Investments Copper“-თან ერთად, დააფუძნა შპს „Mining Investments“-მა და ორივე შვილობილ კომპანიის დირექტორად სოლომონ ცაბაძე დანიშნა.¹²⁵

ამასთან, დამფუძნებელმა გადანყვიტა, რომ კომპანიების სანესდებო კაპიტალი 55,250,000 ლარით განსაზღვრულიყო. კაპიტალის ფორმირების წყაროს „Mining Investments“-ის სახელზე 2012 წელს გაცემული №1000577 ლიცენზია წარმოადგენდა, რომელიც თანაბრად გაიყო. „Mining Investments Gold“-ის კაპიტალის ფორმირების საფუძველს ე.წ. „საყდრისის საბადო“ წარმოადგენდა, ხოლო „Mining Investments Copper“-ის – ე.წ. „მადნეულის საბადო“. ¹²⁶

სამეწარმეო რეესტრში არსებული ჩანაწერებისა და საიას მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, დღევანდელი მდგომარეობით, „Mining Investments“-ის შვილობილ კომპანიების დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს წარმოადგენენ:¹²⁷



¹²⁴ სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 6 მარტის #21-3 სხდომის ოქმი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=705725&app_id=725417;

¹²⁵ 2013 წლის 12 თებერვლის ამონაწერები სამეწარმეო რეესტრიდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=501486&app_id=578082; https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=501485&app_id=578091; Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 8 თებერვლის #7 სხდომის ოქმი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=560813&app_id=578091;

¹²⁶ „Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 8 თებერვლის #7 სხდომის ოქმი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=560813&app_id=578091;

¹²⁷ 2014 წლის 20 მარტის და 10 აპრილის ამონაწერები სამეწარმეო რეესტრიდან https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=645647&app_id=730116; https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=654997&app_id=739852; „Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 8 თებერვლის #7 სხდომის ოქმი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=560813&app_id=578091; „Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 6 თებერვლის სხდომის ოქმი -


თავის მხრივ, „Mining Investments“-ის გენერალური დირექტორი აქაც სოლომონ ცაბაძეა და სამეთვალყურეო საბჭოც ზურაბ ქუთელიას, დიმიტრი ტროიციკის და დიმიტრი კორჟევის სახით არის წარმოდგენილი.¹²⁸

დაბოლოს, ვინ არის „Mining Investments“-ის დამფუძნებელი? სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით, დღეისთვის კომპანიის 100% წილის მესაკუთრე, ისევე როგორც „მაინინგ დეველოპმენტს - ჯორჯიას“ შემთხვევაში, აქაც კვიპროსში რეგისტრირებული შპს „PAMTILON HOLDINGS LIMITED“-ია.¹²⁹

ამრიგად, რეალურად, ყველა კომპანიის უკან საბოლოოდ ერთი კომპანია დგას და ეს კვიპროსში, ე.წ. ოფშორულ ზონაში, რეგისტრირებული შპს „PAMTILON HOLDINGS LIMITED“-ია, ხოლო ის, თუ ვინ დგას ამ კომპანიის უკან, უცნობია.

საია დაინტერესდა „PAMTILON HOLDINGS LIMITED“-ს საქმიანობის დეტალებით და, ამ მიზნით, შესაბამისი ელექტრონული წერილი გაუგზავნა კვიპროსის კომპანიების სარეგისტრაციო დეპარტამენტს. აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს კომპანიების, ბიზნეს გაერთიანებების, სავაჭრო ნიშნების, პატენტებისა და სხვა მსგავსი ხასიათის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შენახვა.

საიას მიერ წერილის გაგზავნის მიზანს წარმოადგენდა იმის გაგება, შესაძლებელი იყო თუ არა კომპანიის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიღება, როგორიცაა: დამფუძნებლები, მონილეები და დირექტორები. თუმცა, კვიპროსიდან საპასუხო წერილი საიას არ მიუღია.



ყველა ის ინფორმაცია, რაზეც კვლევის მიმდინარეობის პროცესში საიას ხელი მიუწვდებოდა, მონიშნავს, რომ ზურაბ ქუთელია პრაქტიკულად ყველა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჯერ კიდევ 1996 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ ლიცენზიას, რომელიც „ტრანს ჯორჯიან რესურსის“ სახელზეა გაცემული (მოიცავდა საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიასაც), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან უფლებამოსილი პირის სახელით სწორედ ზურაბ ქუთელია აწერს ხელს.¹³⁰ თუმცა, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, სადაც სახელმწიფო დანესებულებას ზურაბ ქუთელია წარმოადგენდა. უფრო ადრე, 1995 წლის 8 სექტემბერს, იმავე ზურაბ ქუთელიამ სს „მადნეულს“ მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური ექსპლუატაციაში მყოფი საბადოს კომპლექსურ

¹²⁸ 2014 წლის 8 აპრილის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=654794&app_id=739841; „Mining Investments“-ის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 6 მარტის #21-2 სხდომის ოქმი - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=705588&app_id=725409;

¹²⁹ https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=642180&app_id=725409;

¹³⁰ ლიცენზია #0010, თარიღი 30.12.96;

დამუშავებაზე გაცემული ლიცენზია დაუდასტურა.¹³¹

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ქუთელია 2004 წლამდე თავმჯდომარეობდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებულ წიაღისეულის სარგებლობის ლიცენზიების უწყებათაშორის ექსპერტთა საბჭოს, ხოლო ამავე საბჭოს მუდმივი წევრი იყო სოლომონ ცაბაძე, რომელიც, 2003 წლამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გარემოსდაცვითი ნებართვებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსი იყო.¹³²

საინტერესოა, თუ როდის გამოჩნდა ოფიციალურად ზურაბ ქუთელია „RMG Gold“-ის სამეთვალყურეო საბჭოში. სამენარმეო რეესტრის ჩანაწერების თანახმად, დოკუმენტი, რომლის მიხედვით ზურაბ ქუთელია „RMG Gold“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახდა, 2012 წლის 7 ივნისით თარიღდება.¹³³ მაშინ კომპანიას ჯერ კიდევ შპს „კვარციტი“ ერქვა.¹³⁴

ზურაბ ქუთელიას სს „მადნეულის“ სამეთვალყურეო საბჭოში პირველად 2012 წელს, ზუსტად „RMG Gold“-ის სამეთვალყურეო საბჭოში შესვლის პარალელურად გამოჩნდა.¹³⁵ დღესდღეობით აღნიშნული კომპანია შეცვლილი სახელწოდებით განაგრძობს საქმიანობას და 2012 წლის 20 აგვისტოდან სს „RMG Copper“ ეწოდება.¹³⁶

ამდენად, ზურაბ ქუთელია ერთდროულად გახდა ორივე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობს, რომ, საბოლოოდ, ყველა კომპანიას და ამ კომპანიების მმართველ პირებს კვიპროსში რეგისტრირებულ „PAMTILON HOLDINGS LIMITED“-მდე მივყავართ. თუმცა, უცნობია, ვინ დგას თავად კვიპროსში რეგისტრირებული კომპანიის უკან.

საიამ, არაერთი ოფიციალური დოკუმენტის ანალიზის შედეგად, მოამზადა სქემა, რომელიც ნათლად და სრულად გადმოსცემს ინფორმაციას კვლევაში განხილული ყველა კომპანიის და კომპანიების მმართველი პირების შესახებ.

¹³¹ 1995 წლის 8 სექტემბრის ლიცენზია;


¹³² ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ ანგარიში - „მადნეული კანონზე მაღლა“ - http://www.osgf.ge/files/2013/2013/Madneuli_kanonze_magla.pdf;

¹³³ შპს „კვარციტის“ აქციონერის 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება #05 - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=483553&app_id=500270;

¹³⁴ შპს „კვარციტის“ აქციონერის 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=510574&app_id=528539;

¹³⁵ სს „მადნეულის“ აქციონერის 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება #3 - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=483561&app_id=500276;

¹³⁶ სს „მადნეულის“ აქციონერის 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება - https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_scandoc_by_id&scandoc_id=510565&app_id=528514;



საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი რჩება, სინამდვილეში ვინ მოიპოვებს საქართველოში ისეთ მნიშვნელოვან სასარგებლო წიაღისეულს, როგორც ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები და ვინ დგას კვიპროსში რეგისტრირებული „PAMTILON HOLDINGS LIMITED“-ის უკან.

4.6. დასკვნა

წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების ირგვლივ განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ განხილულ შემთხვევებში, ლიცენზიები რეალურად ერთსა და იმავე ჯგუფების ხელშია, ხოლო ის, თუ ვინ დგას ამ ჯგუფების უკან, უცნობია.

ლიცენზიის მფლობელი კომპანიების შესახებ ინფორმაციის მოძიება რთულია. წიაღისეულის მომპოვებელ კომპანიებს, უმეტეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ ვებ-გვერდები, ხოლო ვისაც ვებ-გვერდები აქვთ, პრაქტიკულად შეუძლებელია იქიდან ინფორმაციის მოძიება.

კომპანიები, რომლებიც საქართველოში ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების მოპოვების ლიცენზიას ფლობენ, ამ ლიცენზიების მოპოვების შემდეგ, როგორც წესი, ხშირად მიმართავენ ბანკებს და, აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, ასეულობით მილიონი ლარის ღირებულების სესხს იღებენ. მსგავსი შემთხვევები კი, თავისთავად, აჩენს ეჭვს ლიცენზიის განმკარგავი კომპანიების ფინანსურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. აღნიშნულის დასტურად კვლევაში არაერთი ფაქტი იქნა მოყვანილი, როდესაც ლიცენზიის მფლობელი კომპანიების კაპიტალი მინიმალური იყო და, პრაქტიკულად, ვერ პასუხობდა აღებული ვალდებულებების შესრულების წინაპირობას. „Mining Investments“-ის შემთხვევაში კი, კომპანია ლიცენზიის გაცემისთვის გამოცხადებული აუქციონის შემდეგ დარეგისტრირდა.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, როგორც ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისადმი სწრაფვა მოწმობს, რომ საქართველოში მსგავსი მისწრაფებები, შესაძლო ეკოლოგიური თუ სხვა სახის პრობლემების პარალელურად, მაღალი ალბათობით, შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგაც.

5. რეკომენდაციები

საიას მიერ წარმოდგენილი კვლევა და ამ კვლევაში განხილული საკითხების ანალიზი, შეჯამების სახით, რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაციის გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ:

- კვლევაში განხილული მასალების ანალიზი ნათლად მოწმობს, რომ, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ეფექტური ზომები უნდა მიიღოს საიმისოდ, რომ სავალდებულოდ ღია გახდეს ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების დამფუძნებლების და რეალური მესაკუთრეების შესახებ;
- სამართალდამცავი ორგანოები დროულად უნდა დაინტერესდნენ „RMG Gold“-ის ლიცენზიის გაგრძელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარით და შეისწავლონ, გადაწყვეტილების მიღების დროს ადგილი ხომ არ ჰქონდა კორუფციული ტიპის გარიგებას ან სხვა სახის კანონდარღვევას. ამასთან, ხელისუფლებამ ღიად უნდა განაცხადოს, თუ რა გარემოებების საფუძველზე გაუგრძელა „RMG Gold“-ს ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 1 იანვრამდე;
- კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს როგორც ფართო დისკუსიების გამართვა, ისე გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საჯაროობა;
- საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ირგვლივ განვითარებული მოვლენები ნათლად მიუთითებს, რომ მთავრობა, სამინისტრო თუ სხვა ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო პირველ რიგში თავად უნდა იყვნენ კანონის დაცვის გარანტები და ზედმიწევნით ყურადღებით ეკიდებოდნენ კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას;
- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში, ხელისუფლებამ სრულად უზრუნველყოს საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხზე მაღალკვალიფიციური საერთაშორისო მნიშვნელობის ექსპერტების ჩართულობა და ობიექტური დასკვნის მომზადება;
- აუცილებელია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტზე საქართველოს პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის შესახებ.